


## მიღებული ანგარიშ-ფაქტურის ჩამოტვირთვა

თუ გსურთ ჩამოტვირთოთ ფაქტურა რომელსაც მიბმული აქვს ზედნადებები მაშინ აუცილებელია ჯერ ზედნადებების ჩამოტვირთვა და შემდეგ ფაქტურის.

მიმდინარე თავში განვიხილოთ შემთხვევები: ზედნადებზე მიბმული ფაქტურის ჩამოტვირთვა და მიღებული მომსახურების ფაქტურის ჩამოტვირთვა.

პირველი შემთხვევა, როდესაც ბაზაში არსებული ზედნადების შესაბამისი ფაქტურა უნდა ჩამოტვირთოთ. **მენეჯერული აღრიცხვა/ მიღების ოპერაცია** დააჭირეთ ღილაკს  .

ეკრანზე მითითებულია სერვისის მომხმარებელი და პაროლი, რადგან უკვე ჩამოტვირთული გაქვთ სასაქონლო ზედნადები . შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე აუცილებლად მითითებული იყოს თქვენი გარე IP მისამართი(შემოსავლების სამსახურის ანგარიშ-ფაქტურის ჩამოტვირთვის სერვისი ითხოვს IP მისამართის მითითებას ). ამ ეკრანზე ფილტრები შეგვიძლია დავაყენოთ გამოწერის თარიღის, ოპერაციის განხორციელების თარიღის ან ანგარიშ- ფაქტურის ნომრის მიხედვით. აუცილებელია გამოიყენოთ რომელიმე ერთი მაინც . შეიყვანეთ ფილტრის მნიშვნელობა(ამ შემთხვევაში მონიშნეთ ველი „გამოწერის თარიღი“ მიუთითეთ სასურველი დიაპაზონი. ) და დააჭირეთ ღილაკს „ ჩამოტვირთვით ანგარიშ-ფაქტურები შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან“ .

ID	გამყიდველის გადამხდელის უნიკალური ნომერი	მყიდველის დეკლარაციის ნომერი	სტატუსი	უარყოფილი მქორე მხარის მიერ 0-არა 1-კი	სერია	ნომერი	რეგისტრაცია თარიღი
17	216524470	1149251	გადაგზავნი...	0	ეა-73	6337899	17.10.2021

განვიხილოთ ღილაკები რომელიც ამ ეკრანზეა. ღილაკი „სერვისის შემოწმება“.

**სერვისის მომხმარებლების შემოწმება**

**ელექტრონული დეკლარაციის მომხმარებელი**

მომხმარებლის სახელი

პაროლი


**ვნახოთ დეკლარანტის ყველა მომხმარებელი**

---

**ზედნადების ატვირთვის სერვისის მომხმარებლის პაროლის გამოცვლა**

მომხმარებლის სახელი

ორგანიზაციის ან  
ობიექტის დასახელება

[კომპიუტერის ინტერნეტ IP](#)  

პაროლი

გაიმეორეთ პაროლი

ამ ეკრანიდან შესაძლებელია ვნახოთ დეკლარანტის ყველა მომხმარებელი. შეიყვანეთ ელექტრონული დეკლარაციის მომხმარებლის, მომხმარებელი და პაროლი, დააჭირეთ ღილაკს „**ვნახოთ დეკლარანტის ყველა მომხმარებელი**“. თუ მონიშნავთ მომხმარებლებს და დაჭერთ ღილაკს „**შევიწიოთ მონიშნული მომხმარებლები**“. ამ მომხმარებლებს სისტემა შეინახავს და ანგარიშ ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ატვირთვა ჩამოტვირთვის ეკრანზე თუ დააჭერთ სერვისის მომხმარებლის ბოლოს არსებულ ღილაკს ჩამოიშლება

სერვისის მომხმარებლების სია სადაც თქვენს მიერ მონიშნული მომხმარებლებიცაა.

თუ დააჭერთ ღილაკს „**კომპიუტერის ინტერნეტ IP**“, ჩაინერება IP მისამართი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ინტერნეტ IP მითითება შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე აუცილებელია ფაქტურის ჩამოტვირთვისათვის. ამ ეკრანიდან შესაძლებელია სერვისის მომხმარებლის პაროლის შეცვლა. დავაჭიროთ ღილაკს **ავირჩიოთ არსებული მომხმარებელი**. გამოვა სერვისის მომხმარებლების სია, მოძებნეთ მომხმარებელი რომლის პაროლის შეცვლაც გსურთ და დააჭირეთ ღილაკს „**ავირჩიოთ მომხმარებელი**“. ველში „**პაროლი**“ ჩაწერეთ ახალი პაროლი შემდეგ ველში „**გაიმეორეთ პაროლი**“ გაიმეორეთ ახალი პაროლი. დახურეთ ეკრანი.

შემდეგი ღილაკი „**დეტალურად**“.

ანგარიშ-ფაქტურის დეტალები

თარიღი: 17/10/2021 17:52:57

ნომერი: ეა-73 6337899

ორგანიზაცია: სატესტოკ სატესტოკ

სასაქონლო/მომსახურებების სია

	დასახელება	რაოდენ	ერთეულ	თანხა	დღგ	აქციზი
▶ 1	საქონელი3	100.0...	ცალი	2500.00	381.36	
2	საქონელი1	150.0...	ცალი	1500.00	228.81	
2				4000.00	610.17	

ზედნადებების სია

	თარიღი	ნომერი
▶ 1	17.10.2021	0625093258

დანურე

ამ ეკრანზე ჩანს ანგარიშ ფაქტურის დეტალები თუ ეს არის სასაქონლო ზედნადებზე ან ზედნადებებზე მიბმული ფაქტურა. ზემოთ ეკრანში ჩანს საქონლის ჩამონათვალი ხოლო ქვემოთ სასაქონლო ზედნადების ან ზედნადებების.

ლილაკი „დაადასტურე და ჩამოტვირთე“ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე დაადასტურებს ფაქტურას და ჩამოტვირთავს.

ლილაკი „მხოლოდ ჩამოტვირთე“ მხოლოდ ჩამოტვირთავს ფაქტურას.

მაკროსი (შემოსავლების სამსახური - ა/ფ-ის ჩამოტვირთვა)

ფაქტურაში მითითებული სასაქონლო ზედნადებები.

ზედნადების ნომერი	შენიშვნა
▶ 0625093258	ზედნადები მოიძებნა.


ამ ოპერაციის შესრულების შედეგად მოძებნილ მიღების ოპერაციებს მიეთითება ფაქტურის ნომერი.

<< წინ      შემდეგ >>      დაასრული      შეწყვიტოთ

თუ არ გვაქვს ფაქტურის შესაბამისი ზედნადები ჩამოტვირთული ,ეკრანზე ეწერება შეტყობინება „ფაქტურის შესაბამისი ვერცერთი ზედნადები ვერ მოიძებნა მიღების ოპერაციებში“.


თუ ჩამოტვირთული გაქვთ ფაქტურის შესაბამისი ზედნადები მაშინ, ეკრანზე ეწერება შეტყობინება „ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ მოძებნილ მიღების ოპერაციებს მიეთითება ფაქტურის ნომერი“.

თუ თქვენ ტვირთავთ მხოლოდ მომსახურების ანგარიშ-ფაქტურას ,ეკრანზე ეწერება შეტყობინება „ფაქტურას არა აქვს მიბმული სასაქონლო ზედნადებები შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე“. რადგან უკვე ჩამოტვირთულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიბმული სასაქონლო ზედნადები მონაცემთა ბაზაში,გამოვიდა შესაბამისი შეტყობინება.დააჭირეთ ლილაკს „შემდეგ „




მონიშნეთ ოპერაციის თარიღისათვის რომელი თარიღი გამოიყენოს სისტემამ რეგისტრაციის თარიღი თუ ოპერაციის თარიღი, დააჭირეთ ღილაკს „შემდეგ“. გამოვა ეკრანზე სტატისტიკა თუ რამდენ ოპერაციას მიეთითა ფაქტურის ნომერი. დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“.


შეგიძლიათ გააკორექტიროთ ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისი მიღების ოპერაცია გადახვიდეთ ბარათზე „სხვადასხვა“ და დარწმუნდეთ, რომ მიღების ოპერაციას მიეთითა ანგარიშ-ფაქტურის ნომერი და ანგარიშ-ფაქტურის ID.




დახურეთ მიღების ოპერაციის ეკრანი.

განვიხილოთ მიღებული მომსახურების ანგარიშ-ფაქტურის ჩამოტვირთვა.


მიღების ოპერაციების ეკრანში დააჭირეთ ღილაკს  .გამოსულ ეკრანზე შეიყვანეთ ფილტრის მნიშვნელობა(ამ შემთხვევაში მონიშნეთ ველი „გამონერის თარიღი“ მიუთითეთ სასურველი დიაპაზონი. ) და დააჭირეთ ღილაკს „**ჩამოტვირთე ანგარიშ-ფაქტურები შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან**“ . გამოსულ ეკრანში მოძებნეთ სასურველი ანგარიშ-ფაქტურა და დააჭირეთ ღილაკს „**მხოლოდ ჩამოტვირთე**“.




დააჭირეთ ღილაკს „**შემდეგ**“






ანგარიშ-ფაქტურით რადგან იქნებ მომსახურებას მხოლოდ ველი „**მომსახურება**“ მონიშნულია. დააჭირეთ ღილაკს „**შემდეგ**“ .



ფაქტურის ნომერი არ მიეთითება არცერთ ბაზაში არსებულ მიღების ოპერაციას.დააჭირეთ ღილაკს „**დასასრული**“.



შეავსეთ მიღების ოპერაციის ეკრანი ,თუ ეს მომსახურება გაქვთ საგნების სიაში მაშინ

დაუკავშირეთ ბაზაში არსებულ მომსახურებას ,დაკავშირება ხდება შემდეგნაირად , დადებით კოდის ან საგნის დასახელების ველზე დააჭირეთ ღილაკს ან Alt+B ,საგნების სიაში მოძებნეთ შესაბამისი მომსახურება და დააჭირეთ ღილაკს **ავირჩიოთ** .თუ არ გაქვთ ეს მომსახურება საგნების სიაში მაშინ, მიუთითეთ ანგარიში და დააჭირეთ ღილაკს  მივანიჭოთ მშობელი ანგარიში მონიშნულ ჩანაწერებს, ღილაკზე დაჭერით გახვალთ ანგარიშების სიაზე აირჩიეთ სასურველი მომსახურების ანგარიში (ამ შემთხვევაში „7455“) და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“ .საალრიცხვო ანგარიშის ველში ჩაიწერება თქვენს მიერ არჩეული ანგარიში. შემდეგ დააჭირეთ ღილაკს  მივანიჭოთ საგნის ტიპი მონიშნულ ჩანაწერებს ,რომლებშიც ველი [კოდი] ცარიელია . გამოსულ ეკრანზე მონიშნეთ ჩანაწერი „მომსახურება“ .შემდეგ დააჭირეთ ღილაკს  შექმენით ახალი საგანი მომწოდებლის კოდითა და დასახელებით ,რომლებშიც ველი [კოდი] ცარიელია .მომსახურება დაემატება საგნების სიაში.

ანალი მიღების ოპერაცია

ოპერაციის თარიღი 17.10.2021 16:21:35 დოკუმენტის ნომერი 6

გამყიდველი/მომწოდებელი მიმღები სხვადასხვა გატარებები

გამყიდველი 12345678910 შპს "მომწოდებელი" ჩვეულებრივი

მომწოდებელი 12345678910 შპს "მომწოდებელი"

მომწოდებლის მისამართი

გადახდის ვადა

ღირებულების ცენტრი სარყოზი

ვალუტა GEL კურსი ფიქსირებულია კურსი 1

კომენტარი

საგნები ხარჯის გადასანაწილებელი ინვოისების საგნები თანხა 50.00

კოდი	საგანი	რაო	ერთე	ფასი	თანხა	დღგ განაკვე	დღგ	საგნის ტიპი	არის ინვოის ხარჯი	სააღრ მშობე ანგარ	მომწოდებ საგნის კოდი	მომწოდებლის საგნის დასახელება	მომწოდებ საგნის ერთეული	მომწო საგნის ტიპი
1	006 კომპიუტერულ...	1...	მ...	50.00	50.00	18.00	7.63	მომ...	<input type="checkbox"/>	7445	006	კომპიუტერულ...	მომსახ...	ჩვეუ...
					50.00		7.63							

შევიწახოთ უარი

დავაჭიროთ ღილაკს „შევიწახოთ“ . შემდეგ ღილაკს „კი“ . მიღების ოპერაციების სიას დაემატება მომსახურების მიღების ოპერაცია.